

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის
არამოსამართლე წევრების ქეთევან ბექაურის და კახა წიქარიშვილის მოსაზრებები

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

(სამუშაო ვერსია)

მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონში 2013 წლის 1 მაისს შევიდა მთელი რიგი ცვლილებები, რამაც ხელი შეუწყო არსებული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას, მიგვაჩნია, რომ მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ მოქმედი კანონის ზოგიერთი ნორმა ჯერ კიდევ დასახვეწი და ზოგ შემთხვევაში შინაარსობრივად ურთიერთსაინააღმდეგოა, რაც შეიძლება მომავალში გახდეს სადისციპლინო კოლეგიის ეფექტური საქმიანობისათვის ხელშემშლელი ფაქტორი, რისთვისაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი ტრანსფორმაცია.

აღნიშნული მიზნებისათვის, გთავაზობთ გარკვეულ მოსაზრებებს კანონის ზოგიერთ მუხლთან დაკავშირებით. დოკუმენტში წარმოდგენილია მუხლის მოქმედი რედაქცია, სადაც შემოთავაზებული ცვლილებები აღნიშნულია დახრილი შრიფტით, ხოლო განმარტებები მოცემულია სქოლიოების სახით.

კანონპროექტი არ ეხება იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ცვლილებების პაკეტს, არამედ მოიცავს დამატებით მოსაზრებებს, რომელთა გათვალისწინება ჩვენი აზრით, დისციპლინური სამართალწარმოების განვითარების მიმდინარე ეტაპზე ასევე მნიშვნელოვანია

ქეთევან ბექაური,

კახა წიქარიშვილი

1. კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პუნქტი 2. დისციპინური გადაცდომის სახეებია:

ა. საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება;

ბ. მოსამართლეთა თათბირის ან პროფესიული საილუმლოების გამჟღავნება;

გ. სხვისი დავალების ან თხოვნის შესრულება, რაც რაიმე ფორმით ხელყოფს მოსამართლის დამოუკიდებლობას;

დ. პროცესის მონაწილის მიზანმიმართული დისკრიმინაცია ამა თუ იმ ნიშნით;

ე. განსახილველ საქმესთან დაკავშირებით კანონით აკრძალული კომუნიკაცია, სხვისთვის გადაწყვეტილების წინასწარი შეთანხმება, (რაც არ მოიცავს სამართლებრივ საკითხებზე კოლეგიალურ კონსულტაციებს), ასევე ანგარიშის ჩაბარება ან ასეთის მოთხოვნა სხვა მოსამართლისგან;

ვ. შეუფერებელი ურთიერთობების დამყარება მოსამართლის წარმომადგენელში მყოფ საქმეში მონაწილე პირებთან ან მათ წარმომადგენლებთან რაც ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის მიუკერძოებლობას და დამოუკიდებლობას;

ზ. სასამართლოს სხდომებზე სისტემატური დაგვიანება არასაპატიო მიზეზით;

თ. მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას არამართლზომიერი ქმედების ჩადენა - საპროცესო კანონმდებლობის იმპერატიულ მოთხოვნათა მძიმე და გამოუსწორებელი, ან მძიმე და არაერთგზისი დარღვევა, ჩადენილი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, რამაც არსებითად ხელყო პროცესის მონაწილე მხარის კონსტიტუციური უფლებები, ან ზიანი მიაყენა სახელმწიფოს საჯარო ინტერესებს, ან/და რამაც შებლაღალა მართლმსაჯულების პრესტიჟი და სასამართლოს ავტორიტეტი“;

ი. მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე უარის თქმა, როდესაც მისთვის ცნობილი იყო კანონის იმპერატიული ნორმით დადგენილი საქმის აცილების საფუძვლის არსებობა;

კ. სხვა მოსამართლის საქმიანობაში უკანონო ჩარევა;

ლ. სამსახურის სისტემატურად გაცდენა ან სამსახურიდან წასვლა საპატიო მიზეზის გარეშე, რასაც შედეგად მოჰყვა სასამართლო საქმიანობის სერიოზული შეფერხება;

მ. პროცესში მონაწილე პირების კოლეგების, სასამართლო პერსონალის მიმართ უპატივეცემლო, ღირსების შემლახავი მოპყრობა,

ნ. კოლეგების, სასამართლო პერსონალის მიმართ ნებისმიერი სახის ზეწოლა ან შევიწროება, რაც ბლაღაღეს პირის კანონიერ უფლებებს ან ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დანერგილ ზნეობრივ პრინციპებს ან/და ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს;

ო. კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება. კორუფციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით

გათვალისწინებული დარღვევა, თუ იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას;

პ. მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა ან მოსამართლის მოვალეობებთან ინტერესთა შეუთავსებლობა;

ჟ. მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბლალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას;

რ. დისციპლინური უფლებამოსილების მქონე ორგანოს საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან მის უპატივცემულობა;

ს. იმ საქმის განხილვა, რომლის შედეგთან დაკავშირებით მოსამართლეს გააჩნია ფინანსური ინტერესი;

ტ. კანონით და სამოსამართლო ეთიკის წესებით აკრძალული საჯარო კომენტარის გაკეთება წარმოებაში არსებულ ან დასრულებულ საქმეზე;

უ. შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვების ან გამოთქმების გამოყენება საჯარო გამოსვლებისას, სხდომის დარბაზში ან სასამართლო გადაწყვეტილებებში;

ფ. მოსამართლის მიერ თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება თავისთვის ან სხვისთვის არამართლზომიერი უპირატესობის მოსაპოვებლად;

ქ. პოლიტიკური გაერთიანების ან პარტიის წევრობა ან სხვა სახის პოლიტიკური საქმიანობა;

ღ. ნებისმიერი ფორმით პოლიტიკური მხარდაჭერის და სიმპათიების გამოხატვა საჯარო გამოსვლებში ან სხდომის დარბაზში;

ყ. სასამართლო რესურსის გახარჯვა პირადი სარგებლობისთვის;

შ. საკუთარი კოლეგების ან სასამართლო გადაწყვეტილებების საჯარო მოხსენიება ნეგატიურ კონტექსტში, ისეთი ფორმით რომელიც ხელყოფს მართლმსაჯულების პრესტიჟსა და ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას;

ჩ. შეგნებულად ცრუ ინფორმაციის მიწოდება ოფიციალურ მიმართვებში ან განცხადებებში;

ც. ისეთი გაერთიანების წევრობა, რაც შეუსაბამოა მოსამართლის სტატუსთან და ზიანს აყენებს მოსამართლის რეპუტაციას და სასამართლოს ავტორიტეტს.

2. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 5. დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობა.

1. დისციპლინური სამართალწარმოება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კონფიდენციალურია. შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირები, სახელმწიფო მოხელეები და მათი დამხმარე პერსონალი ვალდებული არიან, დაიცვან ყველა ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მათთვის

ცნობილი გახდა დისციპლინური სამართალწარმოების დროს, ამ კანონით დადგენილი შემთხვევების გარდა.

2. გადაწყვეტილება უფლებამოსილი ორგანოს მიერ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის, მოსამართლის მიმართ დისციპლინური ღვევის შეწყვეტის ან შეჩერების, მოსამართლისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ, ასევე ამ კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება *მიღებიდან 5 დღის ვადაში*¹ ეგზავნება საჩივრის (განცხადების/შეტყობინების) ავტორს, თუ საერთო სასამართლოში აღარ მიმდინარეობს იმ საქმის განხილვა, რომელთან დაკავშირებითაც განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება

3. სადისციპლინო კოლეგია და სადისციპლინო პალატა საქმეს განიხილავს საქარო სხდომაზე², გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხდომის დახურვას ითხოვს დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემული მოსამართლე. სხდომა ასევე შეიძლება დაიხუროს სადისციპლინო კოლეგიის ან პალატის გადაწყვეტილებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში³.

3. მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი/საბჭოს სხვა წევრი წინასწარი შემონშების შედეგებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელიც ათვისებს დისციპლინური ღვევის დაწყების საფუძვლიანობას და ამ კანონის მე-8 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ვადაში⁴ იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური ღვევის დაწყებაზე უარის თქმის, ან დისციპლინური ღვევის დაწყებისა⁵ და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე;

¹ მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს, თუ რა ვადაში ეგზავნება გადაწყვეტილება საჩივრის ავტორს, რაც სასურველია კანონით იყოს გათვალისწინებული.

² ზოგადად, სასამართლო სხდომის საჯაროობასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის II თავის - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-40 მუხლის პირველი ნაწილი; ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე "პიერსაკი ბელგიის წინააღმდეგ", (1982 წ.); ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს რეგლამენტი, მუხ. 63¹. კიევის რეკომენდაციები - "აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ", კიევი, 23-25 ივნისი, 2010 წელი, მუხლი 26;

³ სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის მარეგულირებელი ნორმები.

⁴ მოქმედ კანონში არ არის მითითებული თუ რა ვადაში უნდა დაიწყოს დისციპლინური ღვენა, რაც იწვევს საქმისწარმოების უსაფუძვლო გაჭიანურებას (მე-8 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია 2-[იანი ვადა]);

⁵ მოქმედი კანონით ბუნდოვანია ღვევის აღძვრის მომენტი, თუმცა ცხადია, რომ „ღვევის დაწყების საფუძვლიანობის“ შემონშების შემდეგ ღვევის შეწყვეტა ვერ მოხდება, ვინაიდან ის ჯერ დაწყებული არ არის. შემოთავაზებული ცვლილებით საბჭო ერთი გადაწყვეტილებით წყვეტს ღვევის აღძვრისა და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საკითხს.

4. მე-12 მუხლის:

ა) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ და 1² პუნქტები:

1¹. სადისციპლინო საქმეების გამოკვლევის მიზნით იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავისი შემადგენლობიდან შეარჩევს 3 მოსამართლე და 3 არამოსამართლე წევრს⁶, რომლებსაც დისციპლინური საქმეები დაენერებათ რიგითობის მიხედვით. მოკვლევის განხორციელებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის მხარდაჭერას ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატი.

1². დისციპლინური საქმის გამოკვლევა უნდა განხორციელდეს ობიექტურად და მიუკერძოებლად. უნდა იქნას შესწავლილი როგორც მოსამართლის ბრალის დამადასტურებელი (დაპასუხისმგებლობის დამამძიმებელი), ასევე, მისი გამამართლებელი (და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი) გარემოებები.

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. ახსნა-განმარტება ჩამოერთმევა იმ მოსამართლეს, რომლის მიმართაც წარმოებს დისციპლინური დევნა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია ახსნა-განმარტება ჩამოართვას საჩივრის (განცხადების) ავტორს. დისციპლინური საქმის მწარმოებელი თანამდებობის პირი⁷ უფლებამოსილია მოითხოვოს დისციპლინური გადაცდომის ფაქტთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტი და მასალა, მიიწვიოს სხვა პირი და მოისმინოს მისი ინფორმაცია. ის ვალდებულია განიხილოს იმ მოსამართლის შუამდგომლობა, რომლის მიმართაც აღძრულია დისციპლინური დევნა, და მისი მოთხოვნის შემთხვევაში ჩამოართვას მას დამატებითი ახსნა-განმარტება.

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. დისციპლინური სამართალწარმოების დროს აკრძალულია მოსამართლის მიერ გამოტანილი სასამართლო აქტის კანონიერების შემონეშება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე ეხება მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევას.

5. მე-14 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14¹ მუხლი:

მუხლი 14¹. დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შინაარსი და მისი გამოქვეყნება.

⁶ საზღვარგარეთის გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, ეფექტურად და გამართლებულად მიგვაჩნია დისციპლინური საქმის გამოძიება არა კოლექტიური ორგანოს, არამედ ერთი პირის მიერ (ამ შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ), ხოლო შემაჯამებელი გადაწყვეტილება (მაგ. დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის ან მასზე უარის თქმის თაობაზე) კი შეიძლება მიიღოს კოლექტიურმა ორგანომ.

⁷ აქაც ვრცელდება იგივე შენიშვნა, რაც მოყვანილია ზემოთ. საქმის გამოკვლევისას თითოეულ მოქმედებაზე საბჭოს თანხმობის აუცილებლობა ძალიან გაართულებს ინფორმაციის მოპოვების პროცესს. შესაბამისად მოკვლევის ჩატარებაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს არა მთლიანად იუსტიციის საბჭო, არამედ მისი კონკრეტული წევრი, რომელსაც დაენერება საქმე.

1. დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებაში აღინიშნება:

ა) გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დასახელება;

ბ) გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს შემადგენლობა;

გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღი;

დ) იმ მოსამართლის სახელი, გვარი და თანამდებობა, რომლის მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება;

ე) დისციპლინური სამართალწარმოებისა და დისციპლინური დევნის დაწყების თარიღები;

ზ) დისციპლინური საქმის გარემოებები;

ი) მიღებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი

2. მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ქვეყნდება მისი მიმღები ორგანოს ოფიციალურ ვებ გვერდზე ამ მოსამართლისა და დისციპლინურ საქმეში მონაწილე სხვა პირების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე⁸.

3. გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე მისი მიღებიდან 5 დღეში ეგზავნება ამ მოსამართლეს, ასევე, საჩივრის (განცხადების/შეტყობინების) ავტორს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული დათქმის გათვალისწინებით⁹.

6. მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 15. მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა ან დისციპლინური დევნის შეწყვეტა

1. დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ, *ამავე კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ვადაში*¹⁰ დისციპლინური საქმის გამოკვლევაზე პასუხისმგებელი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი დისციპლინური დევნის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართავს წინადადებით მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მის მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ.

2. *იუსტიციის უმაღლესი საბჭო* უფლებამოსილია არ დაეთანხმოს წინასწარი შემოწმების შედეგებს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მის მიმართ დისციპლინური

⁸ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციონირების გამჭვირვალობის გზარდის მიზნით აუცილებლად მივიჩნევთ დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებათა გამოქვეყნებას.

⁹ მოქმედი კანონი არ ადგენს ეგზავნება თუ არა დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მოსამართლეს და რა ვადებში.

¹⁰ მოქმედ კანონში არ არის მითითებული, რა ვადაში უნდა გადაწყდეს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხი. შემოთავაზებული ცვლილებით ეს საკითხი უნდა გადაწყდეს საქმის წინასწარი მოკვლევისთვის დადგენილ ვადაში.

სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ და მიიღოს საპირისპირო გადაწყვეტილება. ის აგრეთვე უფლებამოსილია არ დაეთანხმოს შემოწმების იურიდიულ შეფასებებს, მოკვლევული ფაქტობრივი მასალების გათვალისწინებით შეცვალოს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საფუძველი.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასევე უფლებამოსილია საქმის სრულყოფილი გამოკვლევის მიზნით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს ან საბჭოს აპარატს დაავალოს დისციპლინურ საქმეზე დამატებითი გამოკვლევის განხორციელება, რა შემთხვევაშიც, დისციპლინური საქმის გამოკვლევის ვადა გაგრძელდება 1 თვით. ამ ვადის შემდგომი გაგრძელება აღარ დაიშვება. ამ ვადის დასრულებამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას¹¹.

7. მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. გადაწყვეტილების ასლი მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში, საქმის მთლიანი მასალების ასლებთან ერთად¹² გადაეცემა დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს.

4. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს უფლება აქვს გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან 10 დღის ვადაში იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარადგინოს *წერილობითი შეპასუხება*¹³ დისციპლინურ ბრალდებებზე და მას დაურთოს *დამატებითი მტკიცებულებები*. მოსამართლის მიერ შეპასუხების წარდგენიდან ან შეპასუხების წარდგენისთვის დადგენილი ვადის გასვლიდან 3 დღის ვადაში, საქმის მასალები, მოსამართლის მიერ წარდგენილ დოკუმენტებთან ერთად ეგზავნება სადისციპლინო კოლეგიას.

8. მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

მუხლი 18. მოსამართლის უფლებები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დისციპლინური საქმის წარმოებისას.

¹¹ მოლდოვას რესპუბლიკის კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი: “მთავარი ინსპექტორ-მოსამართლე უფლებამოსილია გააგრძელოს განცხადების გადამოწმების ვადა არაუმეტეს 15 კალენდარული დღით შესაბამისი გონივრული საფუძვლების არსებობისას და აცნობოს ამის შესახებ განცხადების ავტორს”, ამავე კანონის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილი: “საჭიროების შემთხვევაში, სადისციპლინო კოლეგიის დასაშვებობის კომიტეტების წევრებს უფლება აქვთ სასამართლო ინსპექციას მოთხოვონ დამატებითი შემოწმების ჩატარება ან/და დამატებითი მტკიცებულებების ან დოკუმენტების მოპოვება”.

¹² კანონის მოქმედი რედაქცია მოსამართლის მიერ საქმის მასალების გაცნობის უფლებას და ვადებს არ ითვალისწინებს, რაც აუცილებელია კანონით დარეგულირდეს.

¹³ აუცილებელია მოსამართლეს მიეცეს გარკვეული დრო დაცვის მოსამზადებლად. შეპასუხების ინსტიტუტის შემოღება ხელს შეუწყობს კოლეგიაში საქმის განხილვის ჯეროვან მომზადებას. აღნიშნულზე მიუთითებს ასევე, ევროპის საბჭოს რეკომენდაციის № R (94) 12 VI.3 პრინციპი, კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია: “კანონით უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი პროცედურა, რომლის მიხედვითაც კითხვის ნიშნის ქვეშ მყოფ მოსამართლეს მიეცემათ კონვენციით განსაზღვრული სამართლიანი სასამართლოს პროცესის უფლება, მაგალითად როგორცაა საქმის გონივრულ ვადებში განხილვა და მოსამართლის უფლება პასუხი გასცეს ნებისმიერ ბრალდებას”.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის მიმართ დისციპლინური ღიჯების დანყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მოსამართლეს აქვს შემდეგი უფლებები:¹⁴

1. გაეცნოს მის წინააღმდეგ მიმართულ დისციპლინურ ბრალდებას პირადად ან სურვილის შემთხვევაში ადვოკატის (წარმომადგენლის) თანდასწრებით.
2. იყოს წარმოდგენილი სხვა მოსამართლით ან ადვოკატით, სრულად გაეცნოს საქმის მასალებს, წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც სავალდებულო წესით უნდა დაერთოს საქმე.
3. არ მისცეს ახსნა განმარტება საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ;
4. ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა საკუთარი დაცვის მოსამზადებლად.
5. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე იშუამდგომლოს დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვა, ან დამატებითი მონშების გამოკითხვა.
6. დაესწროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომას, რომლის დროსაც განიხილება საკითხი მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის თაობაზე.
7. კანონით დადგენილ ვადაში მიიღოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებების ასლი.
8. დისციპლინური პასუხისგებაში მიცემის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წარადგინოს წერილობითი შეპასუხება დისციპლინურ ბრალდებებზე, რომელიც დაერთვის დისციპლინურ საქმეს.

9. მე-19 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევისას აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებებით დგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, მაგრამ დარღვევის მცირე მნიშვნელობის, ბრალის უმნიშვნელო ხარისხის გამო ან სხვა მოტივით (საკითხის დელიკატურობის ან სხვა მიზეზით, მოსამართლის პიროვნების ვათვალისწინებით) იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიზანშეუნოლად თვლის მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემას, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია¹⁵ მოსამართლეს მიმართოს კერძო სარეკომენდაციო ბარათით¹⁶.

¹⁴ ცვლილების მიზანია დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მოსამართლის უფლებების შესაბამისობაში მოყვანა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლთან.

¹⁵ მივიჩნევთ, რომ ამ დროს ხდება არა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტა, არამედ დასრულება, შესაბამისად ტერმინი „შენწყვეტა“ ამოვიღეთ. ასევე ვათვალისწინებთ იგივე საფუძვლები, რაც მითითებულია 51-ე მუხლში.

¹⁶ ამოღებულია სიტყვები: „დისციპლინური სამართალწარმოების დანყების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება“. მიგვაჩნია, რომ სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა საქმის შესწავლის ასეთ ადრეულ ეტაპზე არ არის გამართლებული. ასევე ამოღებულია სიტყვები „უტყუარად დგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა“. ამის სანაცვლოდ დისციპლინურ პროცესში მიზანშეუნოლად მივიჩნევთ „აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა“ სტანდარტის შემოღებას.

10. მე-19 მუხლის დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 ქვეპუნქტები:

4. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მოსამართლეს მიმართოს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის ეტაპზე მოსამართლე სრულად აღიარებს დისციპლინურ ბრალდებას და თანხმობას განაცხადებს მის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების აღნიშნული ღონისძიების გამოყენებაზე¹⁷.

5. იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სადისციპლინო კოლეგია და სადისციპლინო პალატა ყოველკვარტალურად აქვეყნებენ მათ მიერ გამოყენებული კერძო სარეკომენდაციო ბარათების შინაარსს მოსამართლისა და საქმეში მონაწილე სხვა პირების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე¹⁸.

11. 34-ე მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. სადისციპლინო კოლეგიის წევრი ვალდებულია ჩამოსცილდეს დისციპლინური საქმის განხილვას, თუ მის მიერ ან მისი მონაწილეობით გამოტანილი სასამართლოს განჩინება, დადგენილება, *კერძო განჩინება*¹⁹, სადისციპლინო კოლეგიის წარდგინება, ანდა მისი მოხსენებითი ბარათი საფუძვლად დაედო მოსამართლის მიმართ დისციპლინური ღეგნის აღძვრას.

12. 35-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 35. სადისციპლინო კოლეგიის აცილება

1. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს, აგრეთვე დისციპლინურ პასუხისგებაში მიმცემი ორგანოს წარმომადგენელს უფლება აქვს, სადისციპლინო კოლეგიის წევრს²⁰ მისცეს აცილება. იგი ვალდებულია დაასახელოს და დაასაბუთოს აცილების მოტივი. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს აგრეთვე უფლება აქვს, აცილება მისცეს მისი დისციპლინურ პასუხისგებაში მიმცემი

¹⁷ კანონით დღეს მოქმედი რედაქციით მოსამართლის თანხმობა არ არის აუცილებელი მის მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათის გამოყენებისას. შემოთავაზებული ცვლილებით, თუ მოსამართლე არ აღიარებს ბრალდებას და არ ეთანხმება დისციპლინური ზემოქმედების ამ ღონისძიების გამოყენებას, საქმისწარმოება გაგრძელდება ჩვეულებრივი წესით.

¹⁸ აღნიშნული აუცილებელია სადისციპლინო ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალების და დისციპლინურ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა საჯაროობის გაზრდისათვის.

¹⁹ ამოღებულ უნდა იქნას სიტყვები „კერძო განჩინება“, ვინაიდან საპროცესო კანონმდებლობით მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ პროკურორის და ადვოკატის არასათანადო ქცევისას (სსსკ. 85-ე მუხლი).

²⁰ ამოღებულია სიტყვები „კოლეგიის მთელ შემადგენლობას“. კოლეგიის აცილების შემთხვევაში არ არსებობს მისი ჩანაცვლების კანონისმიერი მექანიზმი, შესაბამისად ეს ჩანაწერი ამოღებული უნდა იქნას კანონიდან.

ორგანოს წარმომადგენელს, რომელიც მის საქმეზე დისციპლინური ბრალდების მხარდამჭერად არის დანიშნული.

2. შუამდგომლობას სადისციპლინო კოლეგიის, მისი წევრის ან ბრალდების მხარდამჭერად დანიშნული წარმომადგენლის აცილების შესახებ განიხილავს სადისციპლინო კოლეგია სათათბირო ოთახში.

3. აცილების შესახებ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, თუ სადისციპლინო კოლეგიის წევრის, ან ბრალდების მხარდამჭერად დანიშნული წარმომადგენლის მიუკერძოებლობისადმი ეჭვი საუკუძვლიანია. *კოლეგიის წევრის აცილების შესახებ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, თუ მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში საქმის განხილვაში მონაწილე წევრთა რაოდენობა 3 ზე ნაკლები იქნება.*

13. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 39¹ მუხლი:

მუხლი 39¹. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება.

მტკიცებულებათა შეგროვებისა და შეფასების დროს გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურების გათვალისწინებით²¹.

14. 47-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კოლეგიის დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ამ კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში მითითებული გადაწყვეტილება მიიღება ხმათა შემდეგი უმრავლესობით: თუ კოლეგიის სხდომას ესწრება 5 წევრი - არანაკლებ 4 ხმით, თუ კოლეგიის სხდომას ესწრება 4 წევრი, არანაკლებ 3 ხმით, ხოლო თუ კოლეგიის სხდომას ესწრება 3 წევრი - არანაკლებ 2 ხმით²². თუ აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა წევრთა საჭირო რაოდენობამ, მოსამართლე გამართლებულად ითვლება.

15. 51-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია. ბარათი ეგზავნება მხოლოდ დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ მოსამართლეს და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს²³.

²¹ იხ. მაგ. ბულგარეთის სასამართლო სისტემის შესახებ 2007 წლის კანონი. (მუხ. 328); ზოგიერთი ქვეყნის (მაგ. პოლონეთის, სერბეთის, ხორვატიის) კანონმდებლობაში გვხვდება მითითება სისხლის სამართლის სამართლის საპროცესო კოდექსზე).

²² კანონის დღევანდელი რედაქციით კოლეგიის არამოსამართლე წევრები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას რეალური გავლენა მოახდინონ კოლეგიის გადაწყვეტილებაზე, რადგანაც გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. კანონის ეს ცვლილება მიზნად ისახავს არამოსამართლე წევრების როლის გაძლიერებას გადაწყვეტილების მიღებაში და მოსამართლის მეტ დაცულობას დაუსაბუთებელი დევნისგან.

²³ ვინაიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის საქმისწარმოების მხარე და აქვს კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, მას ბარათის ასლი უნდა გაეგზავნოს.

16. 53-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 53. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულად ცნობის და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ.

სადისციპლინო კოლეგია იღებს დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულად ცნობის და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას, თუ სადისციპლინო კოლეგიაში საქმის განხილვის შედეგად **აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით** ²⁴ დადასტურდა მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა და კოლეგია მიზანშეწონილად მიიჩნევს დააკისროს მას ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი სახდელი.

17. 54-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. თუ აღრე ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის დაკისრებული სახდელი გაქარწყლებული არ არის და **მოსამართლემ ჩაიდინა ახალი დისციპლინური გადაცდომა**, როგორც წესი, მოსამართლეს ეკისრება უფრო მკაცრი დისციპლინური სახდელი.

18. 56-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. თუ წარსულში მოსამართლეს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის დაეკისრა დისციპლინური სახდელი – მკაცრი საყვედური – დამოუკიდებლად ან კანონით გათვალისწინებულ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებასთან ერთად და ეს სახდელი გაქარწყლებული არ არის, ახალი დისციპლინური გადაცდომის **ჩადენის შემთხვევაში** დისციპლინური სახდელის შერჩევისას კოლეგია მსჯელობს ამ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხზე.

19. 58-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ასლები მისი მიღებიდან **10 დღეში** ²⁵ ეგზავნება მოსამართლეს, რომლის მიმართაც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას.

²⁴ იხ. მაგ. საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მოქმედი რედაქცია;

²⁵ როგორც მიმდინარე წლის 26 ივლისის კონფერენციაზე აღინიშნა (კონფერენცია თემაზე „მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და დისციპლინური სამართალწარმოების სხვა აქტუალური საკითხები“), 5 დღიანი ვადა შეიძლება იყოს მოკლე პერიოდი გადაწყვეტილების შედგენისა და კოლეგიის წევრებს შორის საბოლოო ტექსტის შესათანხმებლად. ამიტომ ეს ვადა სასურველია გაიზარდოს 10 დღემდე.

20. 63-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 63. გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე და საჩივარზე უარის თქმა

1. თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარე სადისციპლინო კოლეგიაში წერილობით განაცხადებს უარს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, საჩივარი აღარ დაიშვება.
2. *სადისციპლინო პალატაში საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია. გადაწყვეტილების გამოტანამდე, საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს გადაწყვეტილება²⁶.*

21. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 80¹, 80² და 80³ მუხლები:²⁷

მუხლი 80¹ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვა

1. *სადისციპლინო კოლეგიის ან სადისციპლინო პალატის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გადასინჯოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო;*
2. *გადაწყვეტილება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:*

ა) გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ერთ-ერთი მხარისათვის ცნობილი გახდა ფაქტი ან გარემოება, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებაზე და რომელიც მანამდე უცნობი იყო სადისციპლინო კოლეგიისათვის (პალატისათვის) და არ შეიძლებოდა სცოდნოდა აღნიშნულ მხარეს და რომელიც თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად აქარწყლებს პირის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ ბრალდებას;

ბ) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასინჯ გადაწყვეტილებას;

²⁶ მე-2 ნაწილს დაემატოს სიტყვები "სადისციპლინო პალატაში";

²⁷ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის ხელახლა გადასინჯვის ინსტიტუტი შიდა ეროვნულ საკანონმდებლო სივრცეში დიდი ხნის წინ დაინერგა (გათვალისწინებულია სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, მაგ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-312-ე მუხლი; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34² მუხლი) და აღნიშნული ასევე, სრულ თანხვედრაშია მართლმსაჯულების სფეროში მოქმედ საერთაშორისო ნორმებთან, მაგალითად როგორცაა "ევროპის სასამართლოს რეგლამენტი", რომლის 80-ე მუხლის 1 აბზაცში ვკითხულობთ: "თუ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ერთერთი მხარისათვის ცნობილი გახდა ფაქტი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებაზე და რომელიც მანამდე უცნობი იყო სასამართლოსათვის და არ შეიძლებოდა სცოდნოდა აღნიშნულ მხარეს, მას შეუძლია მოითხოვოს სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ექვსი თვის ვადაში იმ დღიდან, როცა მისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული ფაქტის შესახებ" (ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 80, აბზაცი 1, სტრასბურგი - 4 ნოემბერი, 1998 წელი); აღნიშნულს ასევე ითვალისწინებს სხვადასხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების კანონმდებლობა (მაგ. ყაზახეთი, ბელორუსია, სომხეთი, რუსეთი, ასევე ზოგიერთი ევროპული ქვეყნები, მაგ. იტალია, პოლონეთი, ინგლისი) შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ ასეთი ინსტიტუტის შემოღება დისციპლინურ საკანონმდებლო სივრცეში ხელს შეუწყობს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და თავდაცვითი გარანტიების გაზრდას.

გ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების დადგენი კოლეგიის (პალატის) უკანონო შემადგენლობას;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევის ფაქტი ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი გადაწყვეტილება ამ დარღვევას ეფუძნება²⁸;

ვ) ახალი კანონი აუქმებს პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი გადაწყვეტილებით დისციპლინური სახდელი დაედო;

სადისციპლინო კოლეგიის (პალატის) გადაწყვეტილების თაობაზე მხარეს შუამდგომლობის შეტანის უფლება აქვს 6 თვის ვადაში იმ დღიდან, როცა მისთვის ცნობილი გახდა ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული რომელიმე გარემოების შესახებ”²⁹.

მუხლი 80²

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაყენება და შუამდგომლობის დასაშვებობის შემოწმება

1. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ დისციპლინურ სახდელდადებული პირი წერილობითი შუამდგომლობით მიმართავს მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას;

²⁸ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34² მუხლი კრძალავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის ”8” ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით გადაწყვეტილების გადასინჯვას;

²⁹ სსკ-ის 311-ე მუხლით გადაწყვეტილების გადასინჯვის ხანდაზმულობის ვადები დადგენილი არ არის, გამონაკლისს წარმოადგენს 310-ე მუხლის ”ე” ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება, კერძოდ, ერთი წელი ევროსასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანიდან; ხანდაზმულობის ვადები არ არის დადგენილი ასევე, რუსეთის კანონმდებლობით (Положение о порядке работы квалификационных коллегий судей, Статья 32. (Утверждено Высшей квалификационной коллегией судей Российской Федерации на основании статьи 14 Федерального закона «Об органах судейского сообщества в Российской Федерации» 22 марта 2007 года (в редакции решений Высшей квалификационной коллегии судей Российской Федерации от 17.02.2009, 12.02.2010, 25.05.2010, 11.04.2012, 25.01.2013, 24.10.2013) და სომხეთის კანონმდებლობით (სომხეთის რესპუბლიკის მოსამართლეთა კოდექსი, მუხლი 164-ე, 4,5,6-ე ნაწილები);

ხანდაზმულობის ვადები დადგენილია: ყაზახეთის და ბელარუსის კანონმდებლობით: (დებულება ”სასამართლო უიურის შესახებ”, 45-ე მუხლი); ბელარუსის კანონი: ”სასამართლო სისტემისა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ”, 181-ე მუხლი);

2. შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძველი და მტკიცებულებები;
3. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის შეტანიდან 2 კვირის ვადაში სადისციპლინო კოლეგია ზეპირი მოსმენის გარეშე ამოწმებს, დაყენებულია თუ არა შუამდგომლობა ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და რამდენად არის ის დასაბუთებული.
4. თუ შუამდგომლობა ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად არ არის დაყენებული ან დაუსაბუთებელია, სადისციპლინო კოლეგია ზეპირი მოსმენის გარეშე თავისი დადგენილებით დაუშვებლად ცნობს მას.
5. თუ შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად არის დაყენებული და დასაბუთებული, სადისციპლინო კოლეგია ზეპირი მოსმენის გარეშე დადგენილებით დაუშვებს მას, ნიშნავს საქმის არსებითი განხილვის თარიღს და მხარეებს - სახდელ დადებულ პირს და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აძლევს გონივრულ ვადას საქმის არსებითი განხილვისათვის მოსამზადებლად.
6. სადისციპლინო კოლეგია საქმეს განიხილავს 1 თვის ვადაში მისი დასაშვებად ცნობის დღიდან.
7. შუამდგომლობა განიხილება კოლეგიის სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით, საქმის არსებითი განხილვისას ამ კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 80³

სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო

1. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის განხილვისას სადისციპლინო კოლეგია:
 - ა) აუქმებს სადისციპლინო კოლეგიის (პალატის) გადაწყვეტილებას და იღებს ახალ გადაწყვეტილებას;
 - ბ) ცვლის სადისციპლინო კოლეგიის (პალატის) გადაწყვეტილებას ან გადაწყვეტილებას ტოვებს უცვლელად.
2. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში ამ კანონის მე-60 მუხლით დადგენილი წესით.
3. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების შესახებ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ამ კანონის მე-60-69-ე მუხლებით გათვალისწინებული წესითა და ვადებში.

22. 81-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები კანონიერ ძალაში შესვლისთანავე **პერსონალური მონაცემების გარეშე** ქვეყნდება ოფიციალურ ვებგვერდზე.

23. 82-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სადისციპლინო კოლეგიის წევრი და სადისციპლინო პალატის წევრი ვალდებული არიან დაიცვან დისციპლინურ საქმესთან დაკავშირებული *კანონით დაკული* ინფორმაციის კონფიდენციალობა და თათბირის საიდუმლოება³⁰.

24. 88-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 88. სტატისტიკური ინფორმაცია

1. სტატისტიკური ინფორმაცია სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობისა და განხილული დისციპლინური საქმეების შესახებ პერიოდულად ეგზავნება საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციას, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და *ქვეყნდება სადისციპლინო კოლეგიის ოფიციალურ ვებგვერდზე*³¹.

25. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 92¹ მუხლი:

მუხლი 92¹ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის შეტანის ვადა

80¹ მუხლში გათვალისწინებული 6-თვიანი ვადა არ ვრცელდება სადისციპლინო კოლეგიის და სადისციპლინო პალატის გადანაცვებებზე, რომლებიც გამოტანილია 2014 წლის 1 ნოემბრამდე.

³⁰ ამოღებულია სიტყვები „არ გაამჟღავნონ მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი“, ვინაიდან ეს ინფორმაცია ისედაც საჯაროვდება სადისციპლინო კოლეგიის გადანაცვებებით.

³¹ ამოღებულია მუხლის მე-2 ნაწილი: („სხვა თანამდებობის პირთათვის, დანესებულებისთვის, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენლებისთვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტატისტიკური ინფორმაციის გადაცემადაიშვება მხოლოდ სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარის ნებართვითა და ინფორმაციის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის მიზნით ამ კანონით დადგენილი შეზღუდვების დაცვით“)